საქართველოს პარლამენტის ბიუროს უფროსს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ნ
[redacted] ელ. ფოსტა:
[redacted]

## განცხადება
## საკანონმდებლო წინადადების წარდგენის შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის გათვალისწინებით, დანართის სახით წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას, რომლითაც საპატრიარქოს ფინანსური დამოუკიდებლობის ზრდის მიზნით, შემოთავაზებული იქნება საქართველოს კონსტიტუციით - საქართველოს ეკლესიის მიერ უშუალოდ ეკონომიკური/ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლების მიცემა. როგორც თქვენთვის ცნობილია, კონსტიტუციური შეთანხმებით სახელმწიფომ აიღო ვალდებულება და ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადების, შემოტანის, მიწოდებასა და შემოწირულობას, ასევე, არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონებასა და მიწას გადასახადისაგან ათავისუფლებს. თუმცა, ამის პარალელურად, კონკორდარტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია, რომ ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას. ეკლესიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: ნებაყოფილობითი შემოწირულობანი, სამეწარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, დახმარებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები. გარდა ამისა, საქართველოს სახელმწიფომ აღიარა მე-19-მე-20 საუკუნეებში, განსაკუთრებით კი საბჭოთა ოკუპაციის ხანაში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერიოდში ეკლესიისთვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტი და როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის მფლობელმა, აიღო ვალდებულება მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე. თუმცა, ვფიქრობ, რომ მიუხედავად ზემოხსენებული ფაქტორებისა, თანამედროვე ეპოქაში არსებული არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ზემოხსენებული არასაკმარის რესურს უნდა ქმნიდეს მათ გასამკლავებლად. ამას გარდა, საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლში, გარდა მოცელი ზოგადი ჩანაწერისა, ეკლესიის მიერ უშუალოდ სამეწარმეო/ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლებისა და მისი დამოუკიდებლობაზე აღნიშნვა მიზანშეწონილი იქნებოდა.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-2953/24
11 03 2024 ფურც 36

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, საბერძნეთის კონსტიტუციის მე-3(1) მუხლში ნათქვამია, რომ „საბერძნეთის მართლმადიდებლური ეკლესია არის ავტოკეფალიური“. ეს დაფიქსირებულია არა მხოლოდ როგორც ფაქტი, არამედ როგორც არსებული მდგომარეობის შენარჩუნების გარანტია. იტალიის კონსტიტუციის მე-7 მუხლის შესაბამისად სპეციალური სასამართლო დადგენილება კათოლიკურ ეკლესიას ეხება: `სახელმწიფო და კათოლიკური ეკლესია, თითოეული თავისი წესის შესაბამისად, დამოუკიდებელი და სუვერენულია. მათი ურთიერთობა ლათერანის ხელშეკრულებებით რეგულირდება. ამ ხელშეკრულებებში ორივე მხარის მიერ შეთანხმებული შესწორებების შეტანა აუცილებელი არაა, თუ ისინი საკონსტიტუციო შესწორებებითაა მიღებული/ გათვალისწინებული. 1984 წელს კონსტიტუციის მე-7 მუხლის შესაბამისად სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის გაფორმდა ვილა მადამას ხელშეკრულება (Accordo di Villa Madama), რომელმაც შეცვალა 1929 წლის ლათერანის კონკორდატი.

ამ საკითხის სათანადო გააზრებისთვის/ შესაძლებლობათა შედარებისთვის საკმარისია რამდენიმე კომპანიის მოგებათა წარმოჩენაც. კომპანია კოკა-კოლას (რომლიც მოითვლის 400-მდე თანამშრომელს) სრული შემოსავალი იყო 2022 წელს 48,139 მილიონი ლარი, ხოლო 2021 წელს 30,544 მილიონი ლარი. ეს თანხა იმაზე მეტია, რასაც საქართველოს საპატრიარქო ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს. თუგინდ ზედაზენის მაშტაბებზე (2021 წელს 2 მილიონ მოგებაზე იყო, 2022 წელს 11.6 მილიონზე[1]), რომ გავიდეს საპატრიარქოს მართვის ქვეშ მყოფი კომპანია ან რომელიმე კომპანიაში მისი წილობრივი შემოსავალი, მაინც მისასალმებელია. თანაც, ეკლესიებს და მონასტრებს უკვე აქვთ გარკვეული გამოცდილება სამეწარმეო საქმიანობის კუთხით. მრევლის გარკვეული ნაწილი საპატრიარქოს კომპანი(ებ)ის ნაწარმის სტაბიულურ მომხმარებლადაც მოგვევლინება, რაც ცენტრალიზებული თუ მაშტაბური სახით საწარმოს წარმატების გარანტიებს შექმნის. საპატრიარქოს გააჩნია ეკონომიკური საქმიანობის გამოცდილებაც, უმთავრესად ბიზნეს-ინტერესი და მის მიერ დაფუძნებული კომპანიების თუ ორგანიზაციების საქმიანობა ძირითადად განათლების სფეროს უკავშირდება. სავარაუდოა, რომ ამის მიზეზი კონკორდარტი2 იყოს. სწორედ, რომ ამ ფარგლებს მიღმა საქმიანობის საკონსტიტუციო ცვლილებით[3] განსაზღვრა/ დარეგულირებას ეხება წარმოდგენილი წინადადება, რაც საბოლოო ჯამში შექმნის ისეთ მექანიზმს და რესურს, რომელმაც აქეთ უზრუნველყოს საბიუჯეტო პროექტების თანადაფინანსებაც (შესაბამისად, ასევე, შეამცირებს საბიუჯეტო დახმარების მიღებით/ ქონების[4] სიმბოლურ თანხად მიღებით მათდამი გამოწვეულ დისკრედიტაციის კამპანიას).

რელიგიურ ორგანიზაციებს ესაჭიროება მეტი რესურსი - რათა სათანადოდ იფუნქციონიროს, იქადაგოს, დაეხმაროს გაჭირვებულთ და შეამციროს ადამიანთა

---

[1] თუ არ ვცდები ნატახტარმა 2022 წელს 37 მილიონი ლარის წმინდა მოგება გამოიმუშავა.

[2] 2002 წელს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული საკონსტიტუციო შეთანხმების _ კონკორდარტის საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეკლესიისთვის მეფის რუსეთისა და საბჭოთა მმართველობის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

[3] ვფიქრობ, რომ როგორც კონსტიტუციურ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა, ასევე, ახალი შეთანხმების გაფორმება - საზოგადოებაში წარმოქმნის აზრთა სხვადასხვაობით გამოწვეულ ვნებათა ღელვას - რაც დროში მნიშვნელოვნად გაწელავს პროცესს. ამასთან, ის დებულებები, რომლებიც ხაზს გაუსვამს და უზრუნველყოფს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობას (მათ შორის

მიერ განხორციელებული ის საქციელი, რომელიც სხვათა ჩაგვრას უკავშირდება. საყურადღებოა, რომ თანამედროვე ეპოქაში რელიგიური ორგანიზაციები უფრო მეტად არიან საფრთხის წინაშე, რომელსაც წინ უძღვის ათასგვარი დეზინფორმაციული კამპანია თუ პროპაგანდა. საბერძნეთის ეკლესიაც კი, რომელიც ვფიქრობ, რომ ბევრად უკეთ ორგანიზაციულ სტრუქტურას წარმოადგენდა, მეტი ფინანსური რესურსით, ვერ გაუწია წინააღმდეგობა მიმდინარე პროცესებს და საბერძნეთის ხელისუფლებამ დაახლოებით ერთი თვის წინ დაუშვა ერთ სქესიანთა ქორწინება. მხოლოდ საკანონმდებლო ჩანაწერები ფუჭი იქნება თუ რელიგიური ორგანიზაცია არ იქნებიან აღჭურვილი საჭირო რესურსებით მოცემულ ტენდენციებთან საბრძოლველად. რესურსების ნაკლებობა შეიგრძნობა იმ სტატისტიკაშიც, რომელიც ქვეყანაში მოქალაქეთა მიერ აგრესიის გამოვლინებებს უკავშირდება (ნაკლებია სიკეთის, თანადგომის და შემწყნარებლობის მაგალითები), ამის საპირისპიროდ, სატელევიზიო ეთერიდან პერიოდულად შუქდება სასულიერო პირთა ან/და ეკლესიის ქონებრივი მონაცემები - რაც შესაძლოა მათ დისკრედიტაციას იწვევს. გამომდინარე იქიდან, რომ არ ვარ საეკლესიო სამართლის სპეციალისტი, ისედაც მიზანშეწონილია - რომ საკითხის ირგვლივ მსჯელობა ასევე წარიმართოს საქართველოს საპატრიარქოსთან, ისევე, როგორც დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში, როემლთან ერთადაც უპირველეს ყოვლისა შეფასდება - საკონსტიტუციო ცვლილების მიღებით კონკორდარტის ან მისი შესაბამისი ნორმების (იმ მუხლების, რომლებიც არ ეხება უშუალოდ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას) ძალმოსილების დაკარგვას/ ბათილობის შესაძლებლობა (ასეთ შემთხვევაში, არ მესურვება საქმის შემდგომი განხილვა და უკან გავიხმობ წარმოდგენილ წინადადებას). **ჩემი მიზანია, რომ ის პრივილეგიები, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიას კონკორდარტით გააჩნია, ასევე, დაემატოს უშუალოდ ეკლესიის მიერ ნებისმიერი სამეწარმეო/ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლებაც.**

დანართი: საკანონმდებლო წინადადება.10/03/2023

---

უშუალოდ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების გზით), მიზანშეწონილია ჩაიწეროს კონსტიტუციაშიც.

[4] 1990 წელს პაატა კოღუაშვილმა საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან ერთად გააჟღერა წინადადება ეკლესიისთვის 1918 წლისთვის არსებული მონაცემების საფუძველზე ტოლი რაოდენობის მიწების (24 ათასი ჰა) გადაცემის შესახებ

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება

(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის

105-ე მუხლის გათვალისწინებით) ცვლილების სახეობა:

ცვლილების სახეობა:

- საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა.

განსახილველი საკითხი:

- მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ეკონომიკური საქმიანობის უფლების მოპოვება.
- კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:
  - მოცემული განაცხადით წარმოდგენილი კითხვა თუ ინიციატივა დიდი ალბათობით საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილში მანამდეც არაერთგზის წარმოიშვებოდა. საკითხის აქტუალობა და მისი გადაჭრის მოცემული გზა - მოცემული სფეროსადმი დაინტერესებულ პირთა რიცხოვნობაც განაპირობებს.
  - ვფიქრობ, რომ ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში აუცილებელია შესაძლებლობების რელიგიურ ორგანიზაციების მიმართ კანონზომიერად და გონივრულად მიმართვა, რაც ასევე განაპირობებს მათ ფინანსურ დამოუკიდებლობას და ეკონომიკურ ძლიერებას.
  - თავის მხრივ მატერიალურად და ფინანსურად ძლიერი ეკლესია შეძლებს მათ წინაშე არსებულ ყველა გამოწვევაზე სათანადო პასუხის გაცემას, რაც თავის მხრივ საზოგადოებაზეც დადებითად აისახება. თავისთავად შემცირდება ეკლესიისადმი უპატივცემულო გამოხატულებებიც.
  - საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან ერთად სახელმწიფო **აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში** და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში.
  - ჩემის აზრით, კონკორდატის ის მუხლები, რომლებიც ეკონომიკურ-ფინანსურ საკითხებს უკავშირდება, ნაკლებად ქმნის ეკლესიის ეკონომიკური საქმიანობის განვითარების და შესაბამისად ფინანსური დამოუკიდებლობის შესაძლებლობას[1]. ამასთან, საგულისხმოა, რომ

[1] საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმება:

პოლიტიკოსთა მიერ არაერთგზის, ნეგატიურ კონტექსტში განხილულა სახელმწიფო აღიარებს XIX და განსაკუთრებით XX საუკუნეში, ეკლესიისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თუ არ ვცდები 27 მილიონი ლარის მართლზომიერება, რიგი ოპოზიციური პარტიები თუ არ ვცდები კონსტიტუციური შეთანხმების გაუქმებასაც ითხოვდნენ, ამ ფონზე, როდესაც კორკორდატის მუხლები არ ითვალისწინებს მხარეთა მიერ ცვლილებების შეტანის შესაძლებლობაა, სასურველი იქნებოდა, რომ თავად უზენაეს კანონში, როგორც იერარქიულად კონსტიტუციურ შეთანხმებაზე უფრო მაღლა მდგომ დოკუმენტში, შეტანილი ყოფილიყო ცვლილება - რომლის შესაბამისად ნებისმიერ სფეროში ეკლესიას უშუალოდ სამეწარმეო/ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა მიეცემოდა. მოცემული გარემოება ერთგვარ პოლიტიკურ გარანტიებსაც შექმნიდა[2] ეკლესიის/ საპატრიარქოს მიერ სამეწარმეო მიმართულებით აქტივობების განხორციელების მხრივ. ამასთან, მოცემული ცვლილება - არ უნდა იწვევდეს საქართველოს საპატრიარქოს/ ეკლესიის უფლებების თუ შესაძლებლობების შეზღუდვას და მოცემული ცვლილება არც უპირატეს მდგომარეობაში აყენებს მას სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან. არაფერი მსმენია სხვა რელიგიური ორგანიზაციების სამეწარმეო/ ეკონომიკური საქმიანობის რაიმე სახის შეზღუდვის შესახებ. შედეგად - საპატრიარქოს უშუალოდ მიეცემა ნებისმიერ ეკონომიკურ/ სამეწარმეო სფეროში საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა, მათ შორის საღვთისმსახურო პროდუქციის წარმოების, მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, კვლავ

---

- ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას (მუხლი 6, პუნქტი 3);

- ეკლესიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: ნებაყოფლობითი შემოწირულობანი, სამეწარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, დახმარებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები (მუხლი 6, პუნქტი 4);

- ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია – მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან (მუხლი მე-6, პუნქტი 5).

[2] მაგალითად, კონსტიტუციაში იქმნება არაერთი დათქმა/ განმარტება - რომელიც ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ოჯახის მცნებას (ქორწინების განმარტება) ეხება. ამასთან, ამდაგვარი ჩანაწერების გაჩენა - საქართველოს ეკლესიას კიდევ უფრო მეტად დაცულს გახდიდა პოლიტიკური პროცესების ცვლილების დროს. მაგალითად - 2024 წლის თებერვლის სიახლეს წარმოადგენდა **Greece has become the first Christian Orthodox-majority country to legalise same-sex marriage.** Same-sex couples will now also be legally allowed to adopt children after Thursday's 176-76 vote in parliament. აქვე, რამდენადაც ვიცი - კვიპროსის მართლმადიდებლური ეკლესია ფლობს ეკონომიკურ აქტივებს .The Archiepiscopal Throne also invested heavily in the banking sector, tourism, commercial companies, manufacturing, etc. This intertwining between economic entrepreneurship and religious institutions is certainly a departure from the typical state-church model prevalent in most Orthodox nations.

გათავისუფლდება გადასახადებისაგან (მიზანშეწონილია საკონსტიტუციო შეთანხმების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის საქართველოს კონსტიტუციაში ასახვაც). აქვე, ჩემს მიერ საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდზე მონაცემთა დამუშავების შედეგად, წავაწყდი ორადორ ჩანაწერს (იდენტური), რომელიც საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის" კონსტიტუციური შეთანხმებაში (ტექნიკურ) ჩასწორებას ითხოვდნენ.

| | |
|---|---|
| 02.04.2022 № CA0041222150219<br>1-4087/22/10 | ითხოვდნენ შეთანხმების მე–9 მუხლის მე–2 ნაწილში ორთოგრაფიული შეცდომის შესწორებას: სიტყვა "მომქმედი"-ს მაგივრად "მოქმედი"-ს ჩაწერას |
| CA0041222150522 02.04.2022<br>1-4089/22/10 | ითხოვდნენ შეთანხმების მე–9 მუხლის მე–2 ნაწილში ორთოგრაფიული შეცდომის შესწორებას: სიტყვა "მომქმედი"-ს მაგივრად "მოქმედი"-ს ჩაწერას |

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის კომიტეტის 31-08-2022 2-12642/22; 2-12641/22 დასკვნების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის ხელმოწერითა და პარლამენტისა და წმიდა სინოდის დამტკიცებით." ამრიგად, კანონპროექტის ინიციირების გზით ცვლილების კონსტიტუციურ შეთანხმებაში შეტანა პროცედურულად შეუძლებელია, რაც წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადების მისაღებად ცნობასაც თავისთავად გამორიცხავს.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი ნიკოლოზ
ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მოწ [redacted], ელ.
ფოსტა: [redacted]; რეგისტრაციის ადგილი: ქ.
[redacted]

26/02/2024

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ
საკითხთა კომიტეტს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ნ [redacted]

## განცხადება

თქვენთან გამაჩნია ერთი შეკითხვა. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონიდან აღნიშნული ვერ ამოვიკითხე (ვერ განვმარტე) აღნიშნული. კონსტიტუციური შეთანხმების, რომელიმე მუხლი ან მისი პუნქტი წინააღდეგობაში, რომ მოვიდეს საქართველოს კონსტიტუციასთან, უკუძალა ექნება მხოლოდ კონსტიტუციური შეთანხმების ამ მუხლს ან პუნქტს. რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება დადგეს მაშინ, როდესაც კონსტიტუციური შეთანხმების რიგი დებულებანი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან.

25/02/2024

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ნ [redacted]

# განცხადება

თქვენთან გამაჩნია ერთი შეკითხვა. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონიდან აღნიშნული ვერ ამოვიკითხე (ვერ განვმარტე) აღნიშნული. კონსტიტუციური შეთანხმების, რომელიმე მუხლი ან მისი პუნქტი წინააღდეგობაში, რომ მოვიდეს საქართველოს კონსტიტუციასთან, უკუძალა ექნება მხოლოდ კონსტიტუციური შეთანხმების ამ მუხლს ან პუნქტს. რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება დადგეს მაშინ, როდესაც კონსტიტუციური შეთანხმების რიგი დებულებანი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან. აქვე, აღნიშნული ინტერესი გამომდინარეობს იქიდან, რომ ვფიქრობ, რომ საქართველოს პარლამენტში წარვადგინო საკანონმდებლო წინადადება (თან ერთვის მომზადებული დოკუმენტი, მიზნად ისახავს საქართველოს კონსტიტუციით უშუალოდ ეკლესიისთვის ნებისმიერ დარგსა თუ სფეროში სამეწარმეო/ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის მიცემას, სასურველია რეკომენდაციების გაწევა - დოკუმენტის სრულყოფის კუთხითაც), უპირველეს ყოვლისა არ მსურს დავაზიანო საპატრიარქოს და მისი მრევლის ინტერესები.

26/02/2024

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის პ/ნ [redacted]

**განცხადება**

თქვენთან გამაჩნია ერთი შეკითხვა. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონიდან აღნიშნული ვერ ამოვიკითხე (ვერ განვმარტე) აღნიშნული. კონსტიტუციური შეთანხმების, რომელიმე მუხლი ან მისი პუნქტი წინააღდეგობაში, რომ მოვიდეს საქართველოს კონსტიტუციასთან, უკუძალა ექნება მხოლოდ კონსტიტუციური შეთანხმების ამ მუხლს ან პუნქტს. რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება დადგეს მაშინ, როდესაც კონსტიტუციური შეთანხმების რიგი დებულებანი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან.

26/02/2024



იმოქმედე ქართველთა გენოციდის აღიარებისთვის
მოაწერე ხელი პეტიციას



● კონკორდატი

# კონკორდატის გაუქმება - რესპუბლიკური პარტიის ინიციატივა

27 ნოე, 2019 - 16:38 | 4120 ნახვა

705 1 tbl.ge/48c1

საქართველოს რესპუბლიკური პარტია სახელმწიფოსა და საპატრიარქოს შორის კონსტიტუციური შეთანხმების, კონკორდატის გაუქმების ინიციატივით გამოდის.

პარტიაში მიაჩნიათ, რომ ეს არის საერო და სასულიერო ხელისუფლებებს შორის მავნე, უკანონო ურთიერთგარიგებების შეწყვეტის გზა.

მათ გავრცელებულ განცხადებაში წერია, რომ რესპუბლიკელები არაერთი წელია ქვეყნის დემოკრატული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემაფერხებელ

ფაქტორად სწორედ ქვეყანაში სეკულარიზმის ფაქტობრივი არარსებობას მიიჩნევენ.

"ძალაუფლებით ვაჭრობა ორმხრივად განსაკუთრებით ღია და თვალსაჩინო ხდება წინასაარჩევნო პერიოდებში. აშკარაა ორმხრივი "პარტნიორობის" სარგებლიანობა, რითაც საბოლოო ჯამში ფერხდება უფრო დიდი რამ - სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარება, ილახება კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებები. 21-ე საუკუნეში თანასწორობისთვის ბრძოლა სიცოცხლისთვის ბრძოლის ტოლფასი გახდა.

ჩვენი მიზანია, განთავისუფლდეს ეკლესია სახელისუფლებო ჩარევისაგან და იყოს სრულიად დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში, ისევე როგორც, ეკლესიამ ვერ შეძლოს ხელისუფლებების გადაწყვეტილებებზე ზემოქმედება და პოლიტიკური აქტივობა. მხოლოდ ასე აღსრულდება კონსტიტუციური ჩანაწერი, რომ ეკლესია არის სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი", - წერია განცხადებაში.

რესპუბლიკელებს მიაჩნიათ, რომ კონკორდატის გაუქმების შემდეგ:

- სამართლებრივად აღიკვეთება ხელისუფლების ჩარევა სასულიერო ხელისუფლების საქმიანობაში;
- ყველა მმართველ პოლიტიკურ ძალას გამოეცლება წინასაარჩევნოდ მართლმადიდებლური ეკლესიის რესურსით მანიპულაციისა თუ ვაჭრობის შესაძლებლობა და პირიქით;
- განათლება ქვეყნის ფუნდამენტია და ამ სფეროში განსაკუთრებით მძიმე ის უკანონო და რესგრესული ხასითის ინტერვენცია საპატრიარქოსა და მისი მართული ჯგუფების მხრიდან, რაც მუდმივად აფერხებს განათლების სისტემაში ძირეული რეფომრემის არა თუ განხორციელებას, არამედ დაწყებასაც კი. შეთანმხების გაუქმებით, ხელისუფლებას გაუუქმდება სამართლებრივი ვადლებულება გაიზიაროს (ან გამოიყენოს სათავისოდ) საპატრიარქოს ესა თუ ის პოზიცია ახალი ინიციატივების განხილვის დროს. (მაგ. კანონპროექტების განხილვისას სასულიერო პირების ჩარევა ან პოლიტიკოსების მხრიდან ეკლესიის გამოყენება იგივე მიზნისთვის);
- საპატრიაქროს დაქვემდებარებაში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაუმჭვირვალე საქმიანობა ასევე, მძიმე ტვირთად აწევს ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემას. ამდენად, სახელმწიფო სტრუქტურებს ექნებათ სხვადასხვა სასულიერო საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგის სამართლებრივი საფუძველი, რაც უზრუნველყოფს ამ ინსტიტუციების, მათ შორის, ფინანსურ გამჭვირვალობასაც;
- აღიკვეთება საპატრიარქოსათვის გაუმჭირვალე პროცესის ფარგლებში საბიუჯეტო სახსრებისა და სახელმწიფო ქონების გადაცემის ქაოტური პროცესი;

- შეწყდება ადგილობრივი ბიუჯეტებიდან საბიუჯეტო რესურსებისა და ქონების გადაცემის პროცესი;
- შეწყდება სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებით არსებული დისკრიმინაციული პრაქტიკა - საგადასახადო შეღავათების სახით.

პარტიაში მიუთითებენ, რომ კონსტიტუციური შეთანხმების გაუქმებისთვის აუცილებელია შეიცვალოს საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი, რომლიდანაც უნდა ამოიღონ ჩანაწერი მართლმადიდებლურ ეკლესიასთან თანამშრომლობის ფორმის შესახებ. ამასთან, პარტიის აზრით, ცალმხრივად უნდა გაუქმდეს შეთანხმება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის და პარლამენტში შეიქმნას დროებითი საგამოძიებო კომისია.

რესოუბლიკელებს მიაჩნიათ, რომ კომისიამ უნდა შეისწავლოს:

- საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისათვის გადაცემული ფულადი სახსრებისა და ქონების ოდენობას;
- საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადაცემული თანხების ხარჯის მიზანშეწონილობას;
- საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებულ სასწავლებლებში არსებულ მდგომარეობას და მათ შესაბამისობას საქართველოს განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში.

როგორ პარტიაში ამბობენ, პოსტსაბჭოთა საქართველოს გამოცდილებამ დაადასტურა, რომ საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობამ უკანონო და საშიში სახე მიიღო.

"ეროვნული მიძრაობის დროს პოპულარული იყო მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადის იდეა. შევარდნაძის მმართველობის საწყის ეტაპზე საპატრიარქო რელიგიის შესახებ ისეთი კანონის მიღებას მოითხოვდა, რომელიც ფაქტიურად სახელმწიფო რელიგიის რანგში განიხილავდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. 1995 წლის კონსტიტუციის მიღებისას მოხერხდა ამ ინიციატივისგან თავის არიდება. შევარდნაძის მმართველობის ბოლო სტადიაზე საპატრიარქო იმდენად შეეზარდა ხელისუფლებას და ისე მოძლიერდა, რომ სახელმწიფო რელიგიის ალტერნატივად ხელისუფლებამ და ოპოზიციამ კონკორდატის მიღება მიიჩნია საჭიროდ. ამან ერთხანს კი დააბალანსა ვითარება, მაგრამ ამჟამად სრულიად ამოწურულია ამ ხელშეკრულების პოზიტიური რესურსი", - მიუთებენ პარტიაში.

ამასთან, რესპუბლიკელებს მიაჩნით, რომ მნიშვნელოვანია პრობლემებზე საჯარო დისკუსიის დაწყებაც, თუმცა აუცილებელია, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

"პრობლემის აღმოფხვრა და სეკულარული სახელმწიფოს საფუძვლების გამყარება შეუძლებელია მკვეთრი, რეფორმატორული გადაწყვეტილებების გარეშე", - აღნიშნავენ პარტიაში.

მათივე თქმით, თბილისის მერიის მორიგი ინიციატივა, რომ 2020 ბიუჯეტით განისაზღვრება საპატრიარქოს დამატებითი დაფინანსება, კიდევ ერთხელ ადასტურებს მავნე პრაქტიკის კიდევ უფრო გაღრმავებას.

"ამის დასრულების ერთადერთ გზად გვესახება კონკორდატის გაუქმება", - აღნიშნულია პარტიის განცხადებაში.

კონკორდატი   საქართველოს რესპუბლიკური პარტია   რესპუბლიკური პარტია

კონსტიტუციური შეთანხმება

## • კომენტარები

**1 comment**

Sort by Oldest

Add a comment...

**David Dvali**

რამდენიმე ათეული რესპი წყვეტს რამდენიმე მილიონის საკითხს??!!!ეკლესიის წევრებს არ ეკითხებით???

Like · Reply · 1 · 4y

Facebook Comments Plugin

## • ბოლო სიახლეები



დღეს, 02:00

**ლუკაშენკომ განაცხადა, რომ 2025 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც იყრის კენჭს**

2-12641/22
31-08-2022

საქართველოს პარლამენტის ბიუროს,

ზურაბ ვანიშვილს

**იურიდიულ საკითხთა კომიტეტის**
**დასკვნა**

**ზურაბ ვანიშვილის მიერ წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადებაზე საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციურ შეთანხმებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით (N1-4087/22; 04.04.2022)**

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა ზურაბ ვანიშვილის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციურ შეთანხმებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით (N1-4087/22; 04.04.2022).

## I. საკანონმდებლო წინადადების ძირითადი არსი

საკანონმდებლო წინადადებით შემოთავაზებულია, შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციურ შეთანხმებაში, კერძოდ, რედაქციულად გასწორდეს კონსტიტუციური შეთანხმების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვა „მომქმედი".

## II. კომიტეტის შეფასება

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს საქართველოს პრეზიდენტი, რის შემდეგაც კონსტიტუციურ შეთანხმებას სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის მხარდაჭერით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.[1]

[1] იხ. საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი და 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 119-ე მუხლის მე-4 პუნქტი და

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის ხელმოწერითა და პარლამენტისა და წმიდა სინოდის დამტკიცებით.“

ამრიგად, კანონპროექტის ინიცირების გზით ცვლილების კონსტიტუციურ შეთანხმებაში შეტანა პროცედურულად შეუძლებელია, რაც წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადების მისაღებად ცნობასაც თავისთავად გამორიცხავს.[2] ამგვარად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი საკანონმდებლო წინადადების მისაღებად ცნობას არ მიიჩნევს მიზანშეწონილად.

## III. დასკვნითი ნაწილი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ზურაბ ვანიშვილის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციურ შეთანხმებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით (N1-4087/22; 04.04.2022) საკომიტეტო განხილვის შედეგად ცნო უარყოფილად.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი

---

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-11 მუხლის მე-7 პუნქტი.

[2] იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლი.

2-12642/22
31-08-2022

საქართველოს პარლამენტის ბიუროს,

ზურაბ ვანიშვილს,
კახაბერ ცხვირავაშვილს

**იურიდიულ საკითხთა კომიტეტის**
**დასკვნა**

**ზურაბ ვანიშვილის და კახაბერ ცხვირავაშვილის მიერ წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადებაზე საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციურ შეთანხმებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით (N1-4089/22; 04.04.2022)**

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა ზურაბ ვანიშვილის და კახაბერ ცხვირავაშვილის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციურ შეთანხმებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით (N1-4089/22; 04.04.2022).

**I. საკანონმდებლო წინადადების ძირითადი არსი**

საკანონმდებლო წინადადებით შემოთავაზებულია, შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციურ შეთანხმებაში, კერძოდ, რედაქციულად გასწორდეს კონსტიტუციური შეთანხმების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვა „მომქმედი“.

**II. კომიტეტის შეფასება**

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს საქართველოს პრეზიდენტი, რის შემდეგაც კონსტიტუციურ შეთანხმებას სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის მხარდაჭერით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.[1]

[1] იხ. საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 119-ე მუხლის მე-4 პუნქტი და

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის ხელმოწერითა და პარლამენტისა და წმიდა სინოდის დამტკიცებით.“

ამრიგად, კანონპროექტის ინიციირების გზით ცვლილების კონსტიტუციურ შეთანხმებაში შეტანა პროცედურულად შეუძლებელია, რაც წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადების მისაღებად ცნობასაც თავისთავად გამორიცხავს.[2] ამგვარად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი საკანონმდებლო წინადადების მისაღებად ცნობას არ მიიჩნევს მიზანშეწონილად.

### III. დასკვნითი ნაწილი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ზურაბ ვანიშვილის და კახაბერ ცხვირავაშვილის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციურ შეთანხმებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით (N1-4089/22; 04.04.2022) საკომიტეტო განხილვის შედეგად ცნო უარყოფილად.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი

---

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-11 მუხლის მე-7 პუნქტი.

[2] იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლი.

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. მცხეთაში 2002 წლის 14 ოქტომბერს ხელმოწერილი კონსტიტუციური შეთანხმება „ს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“.

2. „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონს შეთანხმების დებულებათა განხორციელების მიზნით საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა კომიტეტებთან ერთად შეიმუშაოს და საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე საქართველოს პარლამენტს წარუდგინო საკანონმდებლო აქტები, მათ შორის, კანონპროექტი „სახელმწიფოსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის კულტურული მე საკუთრების სფეროში უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“.

**საქართველოს პარლამენტის**
**თავმჯდომარე ნ. ბურჯანაძე**
**თბილისი,**
**2002 წლის 22 ოქტომბერი.**
**№1697–Iს**

### კონსტიტუციური შეთანხმება

### საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შ

– საქართველომ მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში აღიდგინა ისტორიული ადგილი, როგორც დამოუკიდებელმა და დემ სახელმწიფომ;

– საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს სამოციქულო საყდარს და მსოფლიო მართლ ეკლესიის განუყოფელ ნაწილს. იგი მე-5 საუკუნიდან ავტოკეფალურია და მისი სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრი მცხეთა, საპატრიარქო კათედრებია, აგრეთვე, თბილისი და ბიჭვინთა;

– მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა, საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რ რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები;

– საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია;

– საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის შესაბამისად:

საქართველოს სახელმწიფო (შემდგომში სახელმწიფო), წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტით და საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (შემდგომში ეკლესია), წარმოდგენილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-დებენ კონსტიტუციურ შეთანხმებას (შემდგომში შეთანხმება):

**მუხლი 1**

1. სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაც მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

2. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან დადონ შეთნხმებები ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფერო განხორციელების მიზნითაც მხარეთა მიერ მიიღება შესაბამისი აქტები.

3. ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, – სახელმწიფოს მიერ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ: საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრ სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით); ხოლო სამართლებრივ ური უფლებამოსილებას ანიჭებს კათოლიკოს-პატრიარქი.

5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია.

6. როგორც წესი, დიდი საეკლესიო დღესასწაულები და კვირა დასვენების დღეებად ცხადდება.

**მუხლი 2**

სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვას. სასულიერო პირი ვალდებულია, არ გასცეს რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, გახდა ცნობილი.

**მუხლი 3**

სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სა ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.

**მუხლი 4**

1. სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისაგან.

2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სამხედრო საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებში და თ აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განახორციელონ მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგ

**მუხლი 5**

